

შიოშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

Shioshvili and Others v. Russia

(განაცხადი N19356/07; 20/12/2016)

რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვიეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი
ორსული ქალის და მისი მცირეწლოვანი ბავშვების უფლებები, როცა დედა
გაძევებულ იქნა ქვეყნიდან 2006 წლის შემოდგომაზე

პალატის გადაწყვეტილებით,¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა), მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (გადაადგილების თავისუფლება) და მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი (კოლექტიური გაძევების აკრძალვა).

წინამდებარე საქმე ეხებოდა 2006 წლის შემოდგომაზე ქართველი ფეხმძიმე ქალის რუსეთის ტერიტორიიდან გამოძევებას, რომელსაც თან 4 მცირეწლოვანი ბავშვი ახლდა. აპლიკანტები დავობდნენ, რომ ისინი კოლექტიურად გამოაძევეს რუსეთიდან, მაგრამ შემდეგ ხელი შეუშალეს ქვეყნის დატოვებაში დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში, მომჩივნები იყვნენ ძალიან ცუდ პირობებში რუსეთის ხელისუფლების მიერ. თუმცა, ოჯახი საბოლოოდ ჩამოვიდა საქართველოში, ჩამოსვლის შემდეგ, ორსულმა ქალმა დაბადა მკვდრადშობილი ჩვილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა ზემოთ აღნიშნული ბავშვების დედა დაუქვემდებარეს კოლექტიურ გაძევებას, მისი საქმის სათანადოდ შეფასების გარეშე. ამასთან, სანამ ოჯახს უკანონოდ ხელს შეუშლიდნენ რუსეთის ტერიტორიის დატოვებაში, ისინი აიძულეს მცირეოდენი თანხით

¹ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განიხილვას. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

დარჩენილიყვნენ ზამთარში უცნობ ქალაქში და ვერ უზრუნველყვეს მათი საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელიც აპლიკანტთა უმწეო მდგომარეობიდან იყო გამოწვეული. საბოლოოდ, აპლიკანტებს არ ჰქონდათ სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე წვდომა აღნიშნულ მოვლენებთან მიმართებით.

ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტები არიან ქალბატონი ლია შიოშვილი (რომელიც დაბადებულია 1977 წელს და ცხოვრობს გურჯაანში, საქართველო) და მისი 4 შვილი, რომლებიც შესაბამისად, დაბადებულნი არიან 1995, 1997, 2000 და 2004 წლებში. ყველა მათგანი ეროვნებით ქართველია.

ქალბატონი შიოშვილი და მისი შვილები დასახლდნენ რუსეთში 2003 წელს. 2006 წლის 7 ნოემბერს, მოსკოვის რეგიონის რუხსკის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა გამეგების გადაწყვეტილება ქალბატონი შიოშვილის წინააღმდეგ. ყველა აპლიკანტმა დატოვა მოსკოვი 2006 წლის 20 ნოემბერს. რუსეთსა და საქართველოს შორის შეჩერებული სატრანსპორტო კავშირების გამო, მათ მატარებლით იმგზავრეს ბაქომდე (აზერბაიჯანი). იმ დროს, ქალბატონი შიოშვილი იყო 8 თვის ფეხმძიმე. ოთხი სხვა აპლიკანტი იყო 11, 9, 6 და 2 წლის შესაბამისად.

2006 წლის 22 ნოემბერს, 10.30 წუთზე, მატარებელი რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე იყო. აპლიკანტების მიხედვით, შემდგომ ასე განვითარდა მოვლენები: მატარებელი გაჩერდა რუსეთის მიგრაციის სამსახურის თანამშრომლების მიერ. მათ ქალბატონ შიოშვილს ჩამოართვეს 400 აშშ დოლარი (იმ სავარაუდო მოტივით, რომ იგი არ იყო გაცხადებული), სანამ ქართველ მგზავრებს შეატყობინებდნენ, რომ მათ დოკუმენტებში დარღვევები იყო დაფიქსირებული და შესაბამისად, აღარ შეეძლოთ გზის გაგრძელება. ქართველებს დაატოვებინეს მატარებელი და ფეხით მივიდნენ ავტობუსამდე, რომელიც მათ დერბენტში მიიყვანდა. მგზავრობა განსაკუთრებით რთული იყო ქალბატონი შიოშვილისთვის. მას უნდა ემგზავრა ჩემოდნითა და უმცროსი შვილით გარეთ, ცივ ამინდში, იმ დროს, როცა იგი ორსულობის ბოლო თვეში იყო და წუხდა თავისი შვილების ჯანმრთელობასა და ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე. მან არაერთი ზეპირი საჩივარი დააფიქსირა მიგრაციის ოფიცრების წინაშე, მაგრამ უშედეგოდ. დერბენტში ჩასვლის შემდეგ, ჯგუფს მოსთხოვეს მიგრაციის ოფისის მონახულება. აპლიკანტები გარეთ იცდიდნენ 2 საათის განმავლობაში, სანამ ჯგუფი გადაყვანილი იქნებოდა დერბის მატარებლის სადგურში ღამის 3 საათზე, მთელი ღამის გასატარებლად. ქართველებს არც საკვები და არც საჭმელი არ ჰქონდათ და მათ უნდა გადაეხადათ 500 რუბლი სასაზღვრო

პოლიციისთვის, თუ სურდათ საპირფარეშოს გამოყენება. შემდეგ დილით ისინი დაბრუნდნენ მიგრაციის სამსახურის ოფისში, სადაც მათ მთელი დღე გარეთ გაატარეს 5°C -ის ქვეშ.

23 ნოემბრის საღამოს, ქალბატონი შიოშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მისი შვილების ტიროდნენ და ახველებდნენ და შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ ყოფილ შეთავაზებული რაიმე საკვები, წყალი ან თავშესაფარი. ქართველთა ჯგუფმა შეძლო მჭიდროდ დასახლებული ბინის ქირავნობა დერბენტში, სადაც აპლიკანტები დარჩნენ, სანამ მიგრაციის ოფისს სტუმრობდნენ. 29 ნოემბერს, ქალბატონმა შიოშვილმა და მისმა სამმა უფროსმა შვილმა ეცადა აზერბაიჯანის საზღვარის გადაკვეთა. თუმცა, ისინი უკან დაბრუნდნენ იმ მოტივით, რომ გაძევების შესახებ გადაწყვეტილება ეხებოდა მხოლოდ ქალბატონ შიოშვილს და არა მის შვილებს. ქალბატონი შიოშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რადგან იგი იყო გაცივებული, ჰქონდა ცხელება, დეპრესია და ასთმის განმეორებადი შეტევები.

საბოლოოდ, 2006 წლის 4 დეკემბერს, ქალბატონ შიოშვილს ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია მისთვის და მისი შვილებისთვის, რათა დაეტოვებინა რუსეთი. აზერბაიჯანის გავლით რთული გზის შემდეგ, ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში მეორე დღეს. თუმცა, ქალბატონი შიოშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სუსტდებოდა, რადგან მას ჰქონდა საშინელი ხველა, ცხელება, ასთმის შეტევა და მუცლის მწვავე ტკივილი. 15 დეკემბერს, მან დაბადა მკვდრადშობილი ბავშვი.

2008 წლის ივლისში, ქალბატონმა შიოშვილმა შეიტანა საჩივარი მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურაში. მას აცნობეს, რომ საჩივარი გადაეცა დერბენტის პროკურორს, მაგრამ არ მიუღია შემდგომი ინფორმაცია მის საქმესთან დაკავშირებით. რუსეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ სასაზღვრო კონტროლის სამსახურებს არ მიუყვანიათ რომელიმე ქართველი მიგრაციის სამსახურში 2016 წლის 22 ან 23 ნოემბერს.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა

მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლზე დაყრდნობით (გადაადგილების თავისუფლება), აპლიკანტები დავობდნენ, რომ მათ მიერ რუსეთის ტერიტორიის დატოვება შეზღუდული იყო რაიმე გამართლების გარეშე. მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა), ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ, როგორც ქართველები, კოლექტიურად იქნენ რუსეთიდან გაძევებულნი მათი ინდივიდუალური შემთხვევების განხილვის გარეშე. კონვენციის

მე-3 მუხლზე (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დაყრდნობით, ისინი ჩიოდნენ, რომ საზღვრის გადაკვეთის ხელშეშლის შემდეგ ისინი აღმოჩნდნენ ისეთ პირობებში, რომელმაც გამოიწვია მათი ფიზიკური ტანჯვა, დამცირების განცდა და ნეგატიურად იმოქმედა მათ ჯანმრთელობაზე. ისინი ასევე ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-13 მუხლს (ქმედითი სამართლებრივი საშუალების დაცვის უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, რათა ედავათ, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ეფექტურ სამართლებრივ დაცვის საშუალებაზე წვდომა კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევისგან დამდგარი ზიანის ასანაზღაურებლად. საბოლოოდ, აპლიკანტები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) სხვა მუხლებთან ერთად, რათა ედავათ, რომ ისინი დაექვემდებარნენ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2007 წლის 4 მაისს.

გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 7 მოსამართლისგან შემდგარი პალატის მიერ, შემდეგი შემადგენლობით:

ლუის ლოპეზ გუერა (ესპანეთი), თავმჯდომარე,

ელენა იადერბლომი (შვედეთი),

ელენა კელერი (შვეიცარია),

დიმიტრი დედოვი (რუსეთი),

ბრანკო ლუბარდა (სერბეთი),

პერე პასტორ ვილანოვა (ანდორა),

გეორგიუს ა. სერგიდესი (კვიპროსი),

და, ასევე, ფატოს არაჩი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე.

სასამართლოს გადაწყვეტილება

ფაქტების დადგენა

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ უარყო, რომ რომელიმე ქართველი გადაყვანილი იქნა მიგრაციის სამსახურში, დერბენტში, 2016 წლის 22 ან 23 ნოემბერს, მან დაადასტურა, რომ ქალბატონი შიოშვილის უმცროსი შვილი მოხსნილი იყო მატარებლიდან და დარეგისტრირებული იყო დერბენტის სადგურის შიდა რკინიგზის სამმართველოს მიერ.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბავშვი მხოლოდ 2 წლის იყო იმ დროს, სასამართლომ დაასკვნა, რომ სხვა აპლიკანტები ასევე ჩამოხსნეს მატარებლიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო რეგისტრირებული. აღნიშნული დადასტურებული იყო სატელევიზიო ამბების ცნობით და აპლიკანტების დეტალური წარდგინებებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აპლიკანტები დარჩნენ დერბენტში მანამ, სანამ მათ ყველას მიეცემოდათ ტრანზიტული ვიზა 2006 წლის 4 დეკემბერს.

მე-4 დამატებითი ოქმი, მუხლი 2 (გადაადგილების თავისუფლება)

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა გადაადგილების თავისუფლება ყველა აპლიკანტთან მიმართებით. აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მათ ხელი შეეშალათ რუსეთის ტერიტორიის დატოვებაში 2006 წლის 22 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. წინამდებარე ზომა კი კანონის შესაბამისად არ იყო განხორციელებული. კერძოდ, მთავრობამ არ განმარტა, თუ რა სამართლებრივი მუხლი ავალდებულებდა აპლიკანტებს ჰქონოდათ ტრანზიტული ვიზა, რათა დაეტოვებინათ ქვეყანა, კერძოდ, რომელი დოკუმენტები აკლდათ მომჩივნებს ან რა სამართლებრივი საფუძვლები ჰქონდა მთავრობას, რათა აპლიკანტები მატარებლიდან მოეხსნათ.

მე-4 დამატებითი ოქმი, მუხლი 4 (კოლექტიური გამეგების აკრძალვა)

სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი შიოშვილის შემთხვევაში, იმიტომ, რომ იგი დაექვემდებარა ქართველების გამოძევების ადმინისტრაციულ პრაქტიკას, მათი ინდივიდუალური საქმეების სათანადო განხილვის გარეშე. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა რაიმე უფლებები სხვა აპლიკანტების მიმართ, რადგან მათ მიმართ არ იყო გამოცემული გამეგების ბრძანება.

მუხლი 3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა)

აპლიკანტები იყვნენ უმწეო მდგომარეობაში: ქალბატონი შიოშვილი ფეხმძიმე იყო, ბავშვები იყვნენ ძალიან პატარები და მათ ჰქონდათ მცირეოდენი ფული. დერბენტში ოჯახის დარჩენა გამოწვეული იყო რუსეთის ხელისუფლების ორგანოების ქმედებით და აპლიკანტებს არ შეეძლოთ აღნიშნული გარემოების წინასწარ განჭვრეტა. გარდა ამისა, ქალბატონი შიოშვილის გამეგების საწინააღმდეგო ქმედება, შემდეგ კი ოჯახისთვის რუსეთის დატოვების ხელშეშლა, წარმოშობდა განსაკუთრებული სასოწარკვეთის, შფოთვის და შეურაცხყოფის განცდას.

გარდა ამისა, აღნიშნული გარემოებები საკმარისი იყო იმისთვის, რომ მთავრობას დაკისრებოდა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე არსებული პოზიტიური ვალდებულება. თუმცა, ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინეს ინდიფერენტული დამოკიდებულება მომჩივნების უმწეო მდგომარეობასთან დაკავშირებით, არ გაითვალისწინეს როგორც ფეხმძიმე ქალბატონი შიომვილის, ასევე, მცირეწლოვანი ბავშვების საჭიროებები, მაშინ როცა, გადადეს მათი მგზავრობა თითქმის 2 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ყველა აპლიკანტთან მიმართებით.

მუხლი 13 (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადრე უკვე იდენტიფიცირებული იყო მნიშვნელოვანი სირთულეები, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს შეექმნათ ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობის კუთხით დაკავების, დაპატიმრების და გაძევების ბრძანებების საწინააღმდეგოდ, შესაბამის დროს. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სირთულეები იყო მოცემულ საქმეშიც აპლიკანტების მიმართ და ასევე, მათი ზეპირი და წერილობითი განაცხადები რუსეთის ხელისუფლების მიმართ არასდროს იძლეოდა რაიმე შედეგს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

მუხლი 14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) სხვა მუხლებთან ერთობლიობაში

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო საჭირო აპლიკანტის საჩივრის ცალკე განხილვა კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 და მე-4 მუხლებთან ერთობლიობაში, რადგან აღნიშნული იყო ძირეულად იდენტური იმ საჩივრებისა, რომელიც წარდგენილი იყო მხოლოდ მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში, რადგან აპლიკანტებმა ვერ აჩვენეს, რომ არა ქართველი ეროვნების ადამიანებს მოეპყრნენ განსხვავებულად იმავე სიტუაციაში.

სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთს უნდა გადაეხადა აპლიკანტისთვის 30.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.